სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ “

არააუდირებული ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

**2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით**

**სარჩევი**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:**


სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 1

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 2

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 3

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 4


**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**


1. ზოგადი ინფორმაცია ..... 5

2. მომზადების საფუძველი ..... 6

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 6

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა ..... 8

5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი ..... 14

6. სხვა შემოსავალი ..... 14

7. პერსონალის ხარჯი ..... 14

8. სხვა საოპერაციო ხარჯები ..... 15

9. გადავადებული საგადასახადო აქტივი ..... 15

10. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 17

11. გაცემული სესხები ..... 17

12. სხვა აქტივები ..... 19

13. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები ..... 20

14. იჯარები ..... 20

15. ძირითადი საშუალებები ..... 22

16. მიღებული სესხები ..... 23

17. სააქციო კაპიტალი და რეზერვები ..... 24

18. საწარმოთა გაერთიანება ..... 24

19. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები ..... 25

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 25

მმართველობის ანგარიშგება ..... 27

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“**
**სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2021 წლის ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის**
**(‘000 ლარში)**

| | არააუდირებული<br>**6 თვე 2021** | არააუდირებული*<br>**6 თვე 2020** |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 16,611 | 15,375 |
| საპროცენტო ხარჯი | (4,284) | (3,961) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **12,327** | **11,414** |
| სესხის გაუფასურების ხარჯი | (827) | (2,660) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ** | **11,500** | **8,754** |
| სხვა შემოსავალი | 1,574 | 966 |
| წმინდა მოგება(ზარალი) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან | (256) | - |
| პერსონალის ხარჯი | (3,679) | (3,429) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (902) | (821) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (2,545) | (1,932) |
| წმინდა მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | 217 | 114 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | **5,909** | **3,652** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (859) | (711) |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | **5,050** | **2,941** |

*წინა წლის რეკლასიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის,

შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტისა და კონსოლიდაციის შემთხვევაში, ყველა შესაბამისი სუბიექტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს;

ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 13 აგვისტოს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ გივი კერესელიძე

ფინანსური დირექტორი _____ ლევან ფანჩულიძე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
('000 ლარში)

| | არააუდირებული<br>6 თვე 2021 | არააუდირებული*<br>6 თვე 2020 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 16,611 | 15,375 |
| საპროცენტო ხარჯი | (4,284) | (3,961) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **12,327** | **11,414** |
| სესხის გაუფასურების ხარჯი | (827) | (2,660) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ** | **11,500** | **8,754** |
| სხვა შემოსავალი | 1,574 | 966 |
| წმინდა მოგება(ზარალი) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან | (256) | - |
| პერსონალის ხარჯი | (3,679) | (3,429) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (902) | (821) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (2,545) | (1,932) |
| წმინდა მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | 217 | 114 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | **5,909** | **3,652** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (859) | (711) |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | **5,050** | **2,941** |

*წინა წლის რეკლასიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის,

შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტისა და კონსოლიდაციის შემთხვევაში, ყველა შესაბამისი სუბიექტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს;

ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 13 აგვისტოს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ გივი კერესელიძე

ფინანსური დირექტორი _____ ლევან ფანჩულიძე

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“**
**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2021 წლის ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის**
**(‘000 ლარში)**

| | არააუდირებული | აუდირებული |
|---|---|---|
| | **30 ივნისი 2021** | **31 დეკემბერი 2020** |
| **აქტივები** | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8,713 | 8,888 |
| გაცემული სესხები | 112,747 | 98,159 |
| ფინანსური ლიზინგი | 57 | 77 |
| სხვა აქტივები | 844 | 840 |
| საგადასახადო აქტივები | - | 413 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 1,369 | 1,347 |
| არამატერიალური აქტივები | 258 | 307 |
| აქტივების გამოყენების უფლება | 6,132 | 5,717 |
| ძირითადი საშუალებები | 1,380 | 864 |
| **მთლიანი აქტივები** | **131,501** | **116,612** |
| | | |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | |
| **ვალდებულებები** | | |
| მიღებული სესხები | 66,904 | 55,887 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით | 322 | 159 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 461 | - |
| საიჯარო ვალდებულებები | 6,745 | 6,423 |
| სხვა ვალდებულებები | 453 | 442 |
| **მთლიანი ვალდებულებები** | **74,885** | **62,911** |
| | | |
| **კაპიტალი** | | |
| სააქციო კაპიტალი | 4,175 | 4,175 |
| საემისიო კაპიტალი | 2,068 | 2,068 |
| გაუნაწილებელი მოგება | 50,373 | 47,458 |
| **მთლიანი კაპიტალი** | **56,616** | **53,701** |
| **მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი** | **131,501** | **116,612** |

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“**
**კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2021 წლის ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის**
**(‘000 ლარში)**

| | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ მფლობელთა კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2019** | **4,175** | **2,068** | **39,158** | **45,401** |
| ნახევარი წლის წმინდა მოგება | | | 2,941 | **2,941** |
| გამოცხადებული დივიდენდები | | | (296) | **(296)** |
| **30 ივნისი 2020** | **4,175** | **2,068** | **41,803** | **48,046** |
| ნახევარი წლის წმინდა მოგება | - | - | 6,616 | **6,616** |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | - | (961) | **(961)** |
| **31 დეკემბერი 2020** | **4,175** | **2,068** | **47,458** | **53,701** |
| ნახევარი წლის წმინდა მოგება | - | - | 5,050 | **5,050** |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | - | (1,970) | **(1,970)** |
| **კორექტირება** | - | - | (166) | **(166)** |
| **30 ივნისი 2021** | **4,175** | **2,068** | **50,373** | **56,616** |

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“**
**ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2021 წლის ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის**
**(‘000 ლარში)**

| | არააუდირებული<br>**6 თვე 2021** | არააუდირებული<br>**6 თვე 2020** |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული პროცენტი | 14,758 | 13,818 |
| თანხები მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან და ფინანსური ლიზინგიდან | 74,194 | 40,656 |
| მიღებული ჯარიმები | 1,381 | 645 |
| მომხმარებლებზე სესხების გაცემა | (78,286) | (44,474) |
| გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები | (3,863) | (2,859) |
| გადახდილი ხელფასები | (2,840) | (2,417) |
| სხვა შემოსავალი | 790 | 452 |
| სხვა გასავალი | (237) | (336) |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით | 93 | - |
| გადახდილი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა | (892) | (965) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | - | (342) |
| გადახდილი პროცენტი | (4,032) | (3,878) |
| **საოპერაციო საქმიანობაში შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | **1,066** | **298** |
| | | |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა | 1 | - |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | (712) | (115) |
| გაცემული სესხების პორტფელის შეძენა | (9,010) | (1,511) |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(9,721)** | **(1,626)** |
| | | |
| **ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | |
| მიღებული სესხები თამასუქების გარეშე | 14,775 | 10,160 |
| გადახდილი სესხები თამასუქების გარეშე | (3,668) | (3,560) |
| თამასუქებით შემოსული თანხა | - | - |
| გადახდილი თამასუქები | - | (1,493) |
| საიჯარო ვალდებულებების ძირი დაფარვა | (409) | (518) |
| გადახდილი დივიდენდები | (1,970) | (301) |
| **ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | **8,728** | **4,289** |
| | | |
| **გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები** | **73** | **2,961** |
| | | |
| **ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის** | **8,888** | **5,362** |
| უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე | (248) | 302 |
| **ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | **8,713** | **8,624** |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“) „PFS Holdings-ის“ სახელით დაარსდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2009 წლის მარტში, საქართველოში, თბილისში. 2010 წლის ივნისში კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება და დაირქვა შპს „სვის კაპიტალი“, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში ხელახლა შეიცვალა სახელწოდება და დარეგისტრირდა, როგორც შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“. ერთი წლის შემდეგ კომპანია გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად და დარეგისტრირდა სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ სახელით. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, გამზირი აკაკი წერეთელი, N118, I პავილიონი. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205274273.

კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილს:

| დასახელება | ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს | მაკონტროლებელი წილის ოდენობა | |
|---|---|---|---|
| | | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
| შპს სვის კაპიტალ გრუპი | საქართველო | 100% | 100% |

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა კრება. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.
კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანია ისწრაფვის, რომ გახდეს ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულ ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანსა და კვალიფიციურ თანამშრომლებს. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური სამომხმარებლო სესხები, ოქროს სესხები, ავტო სესხები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები.
2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიასა და მის შვილობილს საქართველოს მასშტაბით აქვთ სათავო ოფისი და 20 ფილიალი.
კომპანიას ჰყავს შემდეგი აქციონერები:

| აქციონერები | 30 ივნისი 2021, % | 31 დეკემბერი 2020, % |
|---|---|---|
| სს სვის ჰოლდინგსი | 50.00% | 48.60% |
| ეიალ ელბოიმი | 30.00% | 30.00% |
| ამირ იოელი | 17.00% | 17.00% |
| ალონ ბეჩორი | 1.00% | 2.40% |
| პაატა დაიაური | 2.00% | 2.00% |
| | **100.00%** | **100.00%** |

## 2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ების) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები.
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 13 აგვისტოს.

### შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა.
კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

### ფუნქციონირებადი საწარმო

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.
**უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება.** ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს

უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

**მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება.** ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:დეფოლტის ალბათობა:

- დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ

**იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები.**

იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევნის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება. ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სფეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება). ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

**გადასახადები.** ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი

დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, რომ კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება, კომპანია მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

**სასამართლო დავები.** კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

## 4, ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკების მართვა ფუნდამენტურია ბიზნესისათვის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია კომპანიის ოპერაციებისთვის. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
    - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
    - სავალუტო რისკი.

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

## ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოექმნება რისკები არის შემდეგი:

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8,713 | 8,888 |
| გაცემული სესხები | 112,747 | 98,159 |
| ფინანსური ლიზინგი | 57 | 77 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 296 | 425 |
| მიღებული სესხები | 66,904 | 55,887 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 453 | 307 |
| საიჯარო ვალდებულებები | 6,745 | 6,423 |

## ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, კომიტეტებთან ერთად, პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

კომპანიაში ხდება, როგორც გარე, ასევე შიდა რისკ-ფაქტორების გამოვლენა და მათი მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკების სრული პაკეტის იდენტიფიცირებას და მოკლევადიანი რისკების გადასაჭრელად დაგეგმილი პროცედურების სანდოობის შემოწმებას. გარდა სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისა, ხელმძღვანელობა აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს საოპერაციო დანაყოფებთან მუდმივი შეხვედრებითა და სხვადასხვა ექსპერტების პროფესიონალურ მოსაზრებებზე დაყრდნობით.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

## საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი

უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მისო) რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასანეიტრალებლად.

პოლიტიკის მიხედვით, კომიტეტის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია სასესხო განაცხადის სახეობისა და სიდიდის მიხედვით. საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოადგენს მისოს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსების ან არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ქულებით აფასებენ სესხის განაცხადს.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის, უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

დასაფინანსებელი ბიზნესების სრულყოფილი მონიტორინგი და ამის საფუძველზე მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფულადი ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები რეგულარულად წარედგინდება უმაღლეს ხელმძღვანელობას, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ კრედიტ რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა) | 5,745 | 6,353 |
| გაცემული სესხები | 112,747 | 98,159 |
| ფინანსური ლიზინგი | 57 | 77 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 296 | 425 |
| | **118,845** | **105,014** |

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყეევებს საპროცენტო განაკვეთისა (საპროცენტო რისკი) და

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების გამო.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.
ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ. ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს:

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები | 112,804 | 98,236 |
| სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | (73,649) | (62,310) |
| | **39,155** | **35,926** |

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.
2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| **ფინანსური აქტივები** | **ლარი** | **დოლარი** | **სხვა** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 3,930 | 4,396 | 387 | **8,713** |
| გაცემული სესხები | 109,172 | 3,575 | - | **112,747** |
| ფინანსური ლიზინგი | 57 | - | - | **57** |
| სხვა ფინანსური აქტივები | 296 | - | - | **296** |
| | **113,455** | **7,971** | **387** | **121,814** |
| | | | | |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| მიღებული სესხები | 61,165 | 5,739 | - | **66,904** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 453 | - | - | **453** |
| საიჯარო ვალდებულებები | 392 | 6,353 | - | **6,745** |
| | **62,011** | **12,091** | **-** | **74,102** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **51,444** | **(4,120)** | **387** | **47,712** |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| **ფინანსური აქტივები** | **ლარი** | **დოლარი** | **სხვა** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 3,852 | 4,858 | 178 | **8,888** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | 93,217 | 4,942 | - | **98,159** |
| ფინანსური ლიზინგი | 77 | - | - | **77** |
| სხვა ფინანსური აქტივები | 425 | - | - | **425** |
| | **97,571** | **9,800** | **178** | **107,549** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| მიღებული სესხები | 49,635 | 6,252 | - | **55,887** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 307 | - | - | **307** |
| საიჯარო ვალდებულებები | 170 | 6,253 | - | **6,423** |
| | **50,112** | **12,505** | **-** | **62,617** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **47,459** | **(2,705)** | **178** | **44,932** |

**სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვისდა წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.
ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასების ეფექტი კონსოლიდირებულ სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **30 ივნისი 2021** | |
|---|---|---|
| **ვალუტის კურსის მგრძნობელობა** | **+20%** | **-20%** |
| დოლარის ეფექტი | (824) | 824 |
| | **(824)** | **824** |

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როცა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს. ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და მათი მისაღები და გასაცემი პროცენტების შესაბამისობა არის ლიკვიდურობის მართვის ფუნდამენტური პრინციპი. როგორც წესი ფინანსური ინსტიტუტებისთვის უჩვეულოა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების სრული შესაბამისობა, რადგან ბიზნეს ტრანზაქციები ხშირად თავის თავში მოიცავს გაურკვეველ პირობებს. შეუსაბამო ლიკვიდურობის პოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს, როგორც გაზრდილი მომგებიანობა, ასევე გაზრდილი ზარალის რისკი.
კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას და უზრუნველყოფს, რომ თანხები ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი და დროულად დაიფაროს ყველა მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკას მიმოიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. კომპანია ცდილობს მოახდინოს ფინანსური ვალდებულებების დივერსიფიკაცია, რომელიც მოიცავს სესხებს ბანკებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და

საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული დივერსიფიკაცია კომპანიას ესაჭიროება იმისთვის, რათა უმტკივნეულოდ უპასუხოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია რეგულარულად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესი. ლიკვიდურობის მდგომარეობას აკონტროლებს ფინანსური დეპარტამენტი. ნორმალურ საბაზრო სიტუაციაში ლიკვიდურობის მდგომარეობაზე ინფორმაცია პერიოდულად წარედგინება ხელმძღვანელობას.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2021 წლის 30 ივნისისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | მოთხოვნამდე და 1 თვემდე | 1-12 თვე | 1 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| მიღებული სესხები | 1,610 | 31,488 | 33,805 | **66,904** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | 453 | - | **453** |
| საიჯარო ვალდებულებები | 117 | 1,748 | 6,233 | **8,098** |
| | **1,727** | **33,690** | **40,038** | **75,455** |

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | მოთხოვნამდე და 1 თვემდე | 1-12 თვე | 1 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| მიღებული სესხები | 665 | 27,716 | 27,506 | **55,887** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | 307 | - | **307** |
| საიჯარო ვალდებულებები | 99 | 1,337 | 6,420 | **7,856** |
| | **764** | **29,360** | **33,926** | **64,050** |

**კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- კაპიტალთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკისა (სებ) და მსესხებლების მიერ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- გამოიმუშაოს კომპანიის აქციონერებისთვის თანაბარზომიერი სარგებელი.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.
კომპანია 2021 წლის 30 ივნისის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ

დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები.

## 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლები და საპროცენტო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2021 6 თვე | 2020 6 თვე |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | |
| გაცემული სესხები | 16,588 | 15,346 |
| მიმდინარე საბანკო ანგარიშები | 23 | 13 |
| პარტნიორებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები | - | 16 |
| | **16,611** | **15,375** |
| **საპროცენტო ხარჯი** | | |
| მიღებული სესხები | (4,029) | (3,741) |
| საიჯარო ვალდებულებები | (255) | (220) |
| | **(4,284)** | **(3,961)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **12,327** | **11,414** |

## 6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2021 6 თვე | 2020 6 თვე |
|---|---|---|
| შემოსავალი ჯარიმებიდან და სესხის საკომისიოდან | 1,381 | 813 |
| დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება | 50 | 5 |
| სხვა | 144 | 148 |
| | **1,574** | **966** |

## 7. პერსონალის ხარჯი

პერსონალის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2021 6 თვე | 2020 6 თვე |
|---|---|---|
| საოპერაციო პერსონალი | 1,905 | 1,674 |
| ადმინისტრაციული პერსონალი | 1,774 | 1,755 |
| | **3,679** | **3,429** |

## 8. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2021 6 თვე | 2020 6 თვე |
|---|---|---|
| მარკეტინგი და რეკლამა | (753) | (465) |
| იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება* | (458) | (588) |
| კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები | (326) | (226) |
| საოპერაციო იჯარის ხარჯი | (137) | (11) |
| საოფისე მარაგების ხარჯები | (207) | (128) |
| საბანკო ხარჯი | (123) | (118) |
| მიმდინარე შეკეთების ხარჯი | (26) | (52) |
| დაზღვევის ხარჯები | (93) | (58) |
| უსაფრთხოების ხარჯები | (42) | (42) |
| საწვავი | (45) | (35) |
| მივლინების ხარჯები | (4) | (7) |
| დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია | - | (17) |
| სხვა | (331) | (186) |
| | **(2,545)** | **(1,932)** |

*აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2021 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 63 ათასი ლარი (2020 წლის პირველი ნახევარი: 57 ათასი ლარი)

## 9. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| **1 იანვარი 2020** | **1,627** |
| საგადასახადო სარგებელი (ხარჯი) | (280) |
| **31 დეკემბერი 2020** | **1,347** |
| საგადასახადო სარგებელი (ხარჯი) | 22 |
| **30 ივნისი 2021** | **1,369** |

დროებითი სხვაობები 2021 წლის 30 ივნისისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | აქტივები | ვალდებულებები | ნეტო | აღიარებული მოგებაში ან ზარალში |
|---|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | 1,238 | - | 1,238 | 60 |
| ფინანსური ლიზინგი | 12 | - | 12 | (2) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 4 | - | 4 | (1) |
| ძირითადი საშუალებები | - | (102) | (102) | (12) |
| არამატერიალური აქტივები | 25 | - | 25 | 6 |
| მიღებული სესხები | 15 | - | 15 | (2) |
| სხვა ვალდებულებები | 74 | - | 74 | 20 |
| აქტივების გამოყენების უფლება | - | (908) | (908) | (95) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულებები | 1,012 | - | 1,012 | 49 |
| **საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)** | **2,379** | **(1,009)** | **1,369** | **22** |
| გადასახადის გადაფარვა | (1,009) | 1,009 | - | - |
| **წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)** | **1,369** | **-** | **1,369** | **22** |

დროებითი სხვაობები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | **აქტივები** | **ვალდებულებები** | **ნეტო** | **აღიარებული მოგებაში ან ზარალში** |
|---|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | 1,178 | - | 1,178 | (392) |
| ფინანსური ლიზინგი | 14 | - | 14 | (5) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 5 | - | 5 | 1 |
| ძირითადი საშუალებები | - | (90) | (90) | (19) |
| არამატერიალური აქტივები | 19 | - | 19 | 9 |
| მიღებული სესხები | 17 | - | 17 | 3 |
| სხვა ვალდებულებები | 54 | - | 54 | 53 |
| აქტივების გამოყენების უფლება | - | (813) | (813) | 15 |
| საიჯარო ვალდებულებები | 963 | - | 963 | 55 |
| **საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)** | **2,250** | **(903)** | **1,347** | **(280)** |
| გადასახადის გადაფარვა | (903) | 903 | - | - |
| **წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)** | **1,347** | **-** | **1,347** | **(280)** |

მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | **2021 6 თვე** | **2020 6 თვე** |
|---|---|---|
| მიმდინარე გადასახადი | (881) | (325) |
| დროებითი სხვაობების ეფექტი | 22 | (386) |
| | **(859)** | **(711)** |

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადებს შორის:

| | **2021 6 თვე** | **2020 6 თვე** |
|---|---|---|
| **მოგება დაბეგვრამდე** | **5,909** | **3,914** |
| მოგების გადასახადის პროცენტი | 15% | 15% |
| თეორიული მოგების გადასახადი | (886) | (587) |
| მუდმივი სხვაობების წარმოქმნა და ამობრუნება | 27 | (124) |
| | **(859)** | **(711)** |

## 10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 2,968 | 2,535 |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 5,774 | 6,386 |
| შემცირებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვით* | (29) | (33) |
| | **8,713** | **8,888** |

*ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი წარმოადგენს ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების ხარჯს ფასს 9-ის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტისა და ლიკვიდურობის შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

## 11. გაცემული სესხები

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| ძირი | 120,662 | 105,731 |
| პროცენტი | 5,934 | 5,834 |
| გაუფასურების ანარიცხი | (13,850) | (13,406) |
| | **112,747** | **98,159** |

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | მთლიანი თანხა | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | მთლიანი ECL |
|---|---|---|---|---|---|
| უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები | 11,516 | (288) | (85) | (1,203) | (1,575) |
| ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები | 78,948 | (2,139) | (361) | (6,381) | (8,881) |
| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები | 33,134 | (696) | (28) | (280) | (1,004) |
| სხვა არაუზრუნველყოფილი სესხები | 2,999 | (14) | (34) | (2,341) | (2,390) |
| | **126,596** | **(3,138)** | **(507)** | **(10,204)** | **(13,850)** |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | მთლიანი თანხა | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | მთლიანი ECL |
|---|---|---|---|---|---|
| უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები | 12,016 | (326) | (170) | (1,019) | (1,515) |
| ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები | 70,888 | (1,893) | (360) | (6,294) | (8,547) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები | 25,206 | (510) | (15) | (230) | (755) |
| სხვა არაუზრუნველყოფილი სესხები | 3,455 | (44) | (109) | (2,436) | (2,589) |
| | **111,565** | **(2,773)** | **(654)** | **(9,979)** | **(13,406)** |

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| *უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 8,705 | (303) | 8,402 | 3% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 519 | (71) | 447 | 14% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 13 | (5) | 9 | 36% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 201 | (39) | 162 | 19% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 2,078 | (1,157) | 920 | 56% |
| | **11,516** | **(1,575)** | **9,940** | **14%** |

| *ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 62,269 | (2,057) | 60,211 | 3% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 5,422 | (453) | 4,969 | 8% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 442 | (113) | 329 | 26% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 436 | (159) | 278 | 36% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 10,379 | (6,099) | 4,280 | 59% |
| | **78,948** | **(8,881)** | **70,067** | **11%** |

| *ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 27,297 | (701) | 26,596 | 3% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 2,964 | (97) | 2,867 | 3% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 926 | (38) | 888 | 4% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 376 | (10) | 366 | 3% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 1,571 | (157) | 1,414 | 10% |
| | **33,134** | **(1,004)** | **32,130** | **3%** |

| *სხვა არაუზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 302 | (76) | 226 | 25% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 24 | (9) | 15 | 37% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 10 | (6) | 4 | 61% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 18 | (12) | 7 | 64% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 2,645 | (2,288) | 357 | 86% |
| | **2,999** | **(2,390)** | **609** | **80%** |

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| *უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 9,248 | (315) | 8,933 | 3% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 586 | (114) | 472 | 19% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 169 | (123) | 46 | 73% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 75 | (39) | 36 | 52% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 1,938 | (924) | 1,014 | 48% |
| | **12,016** | **(1,515)** | **10,501** | **13%** |

| *ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 55,215 | (1,787) | 53,428 | 3% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 4,465 | (429) | 4,036 | 10% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 647 | (204) | 443 | 32% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 350 | (161) | 189 | 46% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 10,211 | (5,966) | 4,245 | 58% |
| | **70,888** | **(8,547)** | **62,341** | **12%** |

| *ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 21,356 | (547) | 20,809 | 3% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 1,980 | (67) | 1,913 | 3% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 628 | (27) | 601 | 4% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 181 | (8) | 173 | 4% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 1,061 | (106) | 955 | 10% |
| | **25,206** | **(755)** | **24,451** | **3%** |

| *სხვა არაუზრუნველყოფილი სესხები* | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---|---|---|---|---|
| -არა ვადაგადაცილებული | 537 | (75) | 462 | 14% |
| -1-30 დღე ვადაგადაცილება | 40 | (18) | 22 | 45% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 91 | (90) | 1 | 99% |
| -61-90 დღე ვადაგადაცილება | 35 | (27) | 8 | 77% |
| -90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 2,752 | (2,379) | 373 | 86% |
| | **3,455** | **(2,589)** | **866** | **75%** |

## 12. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| გადახდილი ავანსები | 435 | 306 |
| უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის | 200 | 250 |
| დასაკუთრებული ქონება | 112 | 109 |
| სხვა მოთხოვნები | 96 | 175 |
| | **844** | **840** |

## 13. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2021 წლის 30 ივნისის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 461 ათასი ლარის ვალდებულება და 413 ათასი ლარის აქტივი, შესაბამისად.

## 14. იჯარები

აქტივების უფლებების გამოყენება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | ფილიალები | სხვა | სულ |
|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2019** | **4,878** | **639** | **5,517** |
| შემოსვლა | 2,080 | - | **2,080** |
| ცვეთა | (869) | (155) | **(1,024)** |
| იჯარის მოდიფიკაციის ეფექტი | (856) | | **(856)** |
| **31 დეკემბერი 2020** | **5,233** | **484** | **5,717** |
| შემოსვლა | 945 | - | **945** |
| ცვეთა | (579) | (80) | **(658)** |
| იჯარის მოდიფიკაციის ეფექტი | 151 | (23) | **128** |
| **30 ივნისი 2021** | **5,750** | **381** | **6,132** |

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | ფილიალები | სხვა | სულ |
|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2019** | **5,365** | **690** | **6,055** |
| შემოსვლა | 2,080 | - | **2,080** |
| საპროცენტო ხარჯი | 314 | 52 | **366** |
| საიჯარო გადასახდელი | (1,549) | (179) | **(1,728)** |
| საიჯარო შეღავათები | (54) | (36) | **(90)** |
| იჯარის მოდიფიკაციის ეფექტი | (896) | - | **(896)** |
| კურსთაშორისი სხვაობა | 550 | 86 | **636** |
| **31 დეკემბერი 2020** | **5,810** | **613** | **6,423** |
| შემოსვლა | 945 | - | **945** |
| საპროცენტო ხარჯი | 233 | 22 | **255** |
| საიჯარო გადასახდელი | (556) | (111) | **(667)** |
| იჯარის მოდიფიკაციის ეფექტი | 54 | - | **54** |
| კურსთაშორისი სხვაობა | (237) | (27) | **(264)** |
| **30 ივნისი 2021** | **6,248** | **497** | **6,745** |

საიჯარო ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | < 3 თვე | 3-12 თვე | 1-2 წელი | 2-5 წელი | > 5 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საიჯარო ვალდებულებები** | 472 | 1,393 | 1,798 | 3,522 | 913 | **8,098** |

საიჯარო ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | < 3 თვე | 3-12 თვე | 1-2 წელი | 2-5 წელი | > 5 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საიჯარო ვალდებულებები** | 296 | 1,140 | 1,699 | 3,607 | 1,114 | **7,856** |

## 15. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება | შენობები | ავტომობილები | ავეჯი | აპარატურა და მოწყობილობები | იჯარის გაუმჯობესება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი** | **109** | **201** | **484** | **970** | **516** | **2,280** |
| შემოსვლა | - | 26 | 286 | 193 | 39 | **544** |
| გასვლა | - | (40) | - | - | - | **(40)** |
| შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტი | (109) | - | - | - | - | **(109)** |
| **ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **187** | **770** | **1,163** | **555** | **2,675** |
| შემოსვლა | - | - | 148 | 51 | 494 | **693** |
| გასვლა | - | (125) | (1) | (140) | (3) | **(269)** |
| **ბალანსი 2021 წლის 30 ივნისი** | **-** | **62** | **917** | **1,074** | **1,046** | **3,099** |
| | | | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | |
| **ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი** | **(18)** | **(129)** | **(320)** | **(623)** | **(367)** | **(1,457)** |
| წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა | (3) | (44) | (96) | (165) | (96) | **(404)** |
| გასული ძირითადი საშუალების ცვეთა | - | 29 | - | - | - | **29** |
| შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტი | 21 | - | - | - | - | **21** |
| **ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **(144)** | **(416)** | **(788)** | **(463)** | **(1,811)** |
| წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა | - | (14) | (71) | (70) | (21) | **(176)** |
| გასული ძირითადი საშუალების ცვეთა | - | 123 | 1 | 140 | 4 | **268** |
| **ბალანსი 2021 წლის 30 ივნისი** | **-** | **(35)** | **(486)** | **(718)** | **(480)** | **(1,719)** |
| | | | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | |
| **ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი** | | **43** | **354** | **375** | **92** | **864** |
| **ბალანსი 2021 წლის 30 ივნისი** | | **27** | **431** | **356** | **566** | **1,380** |

## 16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| ძირი | 66,116 | 55,209 |
| პროცენტი | 787 | 678 |
| | **66,904** | **55,887** |

| | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| უგარანტიო თამასუქები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 1,567 | 553 |
| უგარანტიო სესხები დაკავშირებული მხარეებისგან | 503 | 1,043 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | 31,736 | 25,910 |
| სავალო ფასიანი ქაღალდები | - | - |
| | **33,805** | **27,506** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | 18,653 | 12,954 |
| უგარანტიო სესხები დაკავშირებული მხარეებისგან | 1,105 | 1,085 |
| უგარანტიო თამასუქები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 4,999 | 6,001 |
| სავალო ფასიანი ქაღალდები | 8,341 | 8,341 |
| | **33,098** | **28,381** |
| **სულ ვალდებულებები** | **66,904** | **55,887** |

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებულია შესაბამისი რაოდენობის კლიენტებზე გაცემული სესხები.

მიღებული სესხების საკრედიტო პირობები შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ვალუტა | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის წელი | 30 ივნისი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | აშშ დოლარი | 6%-8% | 2023 | 1,567 | 553 |
| ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები | ლარი | 14%-16% | 2021-2023 | 50,389 | 38,864 |
| დაკავშირებული მხარისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები | აშშ დოლარი | 12% | 2022 | 1,608 | 2,128 |
| არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | აშშ დოლარი | 5%-10% | 2021-2022 | 2,564 | 3,571 |
| არაუზრუნველყოფილი თამასუქები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | ლარი | 11%-14% | 2021-2022 | 2,436 | 2,430 |
| სავალო ფასიანი ქაღალდები | ლარი | 14% | 2021 | 8,341 | 8,341 |
| | | | | **66,904** | **55,887** |

## 17. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

| აქციონერები | 30 ივნისი 2021, % | ტიპი | 31 დეკემბერი 2020, % | აქციათა რაოდენობა, 30 ივნისი 2021 | აქციათა რაოდენობა, 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| სს "სვის ჰოლდინგსი" | 50.00% | ჩვეულებრივი | 48.60% | 1,250,000 | 1,215,000 |
| ეიალ ელბოიმი | 30.00% | ჩვეულებრივი | 30.00% | 749,880 | 749,880 |
| ამირ იოელი | 17.00% | ჩვეულებრივი | 17.00% | 425,000 | 425,000 |
| ალონ ბეჩორი | 1.00% | ჩვეულებრივი | 2.40% | 25,120 | 60,120 |
| პაატა დაიაური | 2.00% | ჩვეულებრივი | 2.00% | 50,000 | 50,000 |
| | **100.00%** | | **100.00%** | **2,500,000** | **2,500,000** |

ყველა აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 აშშ დოლარი.

### საემისიო კაპიტალი

2021 წლის 30 ივნისისთვის კომპანიას აქვს 2,068 ათასი ლარის საემისიო კაპიტალი (2020: 2,068 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს სხვაობას გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ნომინალურ ღირებულებასა და მის რეალურად მიღებულ ღირებულებას შორის.

### დივიდენდები

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდები, და ასევე, აქვთ ყოველ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება კომპანიის წლიურ და საერთო კრებებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2021 წლის I ნახევარში გაიცა 1,970 ათასი ლარის დივიდენდი აქციონერ ამირ იოელზე.

## 18. საწარმოთა გაერთიანება

2021 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ შეიძინა გაცემული სესხების პორტფელი, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ოქროთი.
შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება, შესყიდვის ღირებულება და გუდვილი შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი (გასათვალისწინებელია, რომ რეალური ღირებულება არ იქნა გამოყენებული ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, რომლებისთვისაც მოითხოვება შეფასების სხვა საფუძველი, მაგ. იჯარები):

| | წმინდა ღირებულება | კორექტირება | რეალური ღირებულება |
|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | 7,487 | 1,524 | 9,010 |
| აქტივების გამოყენების უფლება | - | 288 | 288 |
| საიჯარო ვალდებულებები | - | (288) | (288) |
| | **7,487** | **1,524** | **9,010** |

გუდვილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | თანხა |
|---|---|
| სულ ვალდებულება | 9,010 |
| შემცირებული შეძენილი აქტივებითა და დაკისრებული ვალდებულებებით | (9,010) |
| **გუდვილი** | - |

## 19. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკეთესი წარდგენის მიზნებისთვის გაკეთდა წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები:

| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არე | 6 თვე 2020 | რეკლასიფიკაცია | შეცვლილი 6 თვე 2020 |
|---|---|---|---|
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (2,753) | 821 | (1,932) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | - | (821) | (821) |

## 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2021 წლის 30 ივნისისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი | შენიშვნა | აქციონერები | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|---|
| მიღებული სესხები | 16 | 1,608 | - |
| საპროცენტო ხარჯი | 5 | 113 | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 8 | - | 126 |

2020 წლის 30 ივნისისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი | შენიშვნა | აქციონერები | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|---|
| მიღებული სესხები | 16 | 3,700 | - |
| საპროცენტო ხარჯი | 5 | (172) | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 8 | - | (223) |

დირექტორებისა და ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 2021 6 თვე | 2020 6 თვე |
|---|---|---|
| **უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო:** | | |
| მოკლევადიანი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს ხელფასებსა და ბონუსებს | (1,034) | (1,098) |

# სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი”

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება**

*2021 წლის 30 ივნისით დასრულებული*

*ნახევარწლიური პერიოდისათვის*

## შინაარსი

კომპანიის მოკლე მიმოხილვა ..... 29
2021 წლის პირველი ნახევრის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა ..... 29
- კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები ..... 29
- კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა ..... 30
- რეგულაციები ..... 31
- პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები ..... 31
- სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა ..... 33
- ვალდებულებები და დაფინანსება ..... 33
- ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები ..... 34
- ძირითადი რისკები და მართვა ..... 34

2021 წლის მეორე ნახევრის გეგმების შეჯამება ..... 36

# კომპანიის მოკლე მიმოხილვა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ 2009 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის იურიდიული ფორმით. თავდაპირველად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

2010 წელს სვის კაპიტალი დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად. შესაბამისად, კომპანია ანგარიშვალდებულია მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს საფინანსო სფეროში მოქმედ სხვა არარეგულირებულ იურიდიულ პირებთან შედარებით მკაცრ რეგულაციას.

კომპანიის ეფექტურმა მართვამ უზრუნველყო კომპანიის განვითარება, მისი სტაბილურ და ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება. 2011 წელს კომპანიამ შეიცვალა სამეწარმეო ფორმა და ჩამოყალიბდა, როგორც სააქციო საზოგადოება. 2011 წლის ნოემბერში განხორციელდა კომპანიის კაპიტალის გაზრდა აქციათა გამოშვების გზით. კაპიტალის შემდგომი ზრდა აქციათა გამოშვების გზით განხორციელდა 2013 წელს.

ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

2021 წლის 30 ივნისის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები წარმოდგენილნი არიან როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირებით (იხ. ცხრილი).

| **აქციონერები** | **30 ივნისი 2021, %** | **31 დეკემბერი 2020, %** |
|---|---|---|
| სს „სვის ჰოლდინგს“ | 50.00% | 48.60% |
| ეიალ ელბოიმი | 30.00% | 30.00% |
| ამირ იოელი | 17.00% | 17.00% |
| პაატა დაიაური | 2.00% | 2.00% |
| ალონ ბეჩორი | 1.00% | 2.40% |
| | **100.00%** | **100.00%** |

# 2021 წლის პირველი ნახევრის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

## კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები

სს ,,მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ მმართველობა ხორციელდება აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. მისი ორგანიზაციული სტრუქტურა არის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. კომპანიის მმართველობა იაზრებს, რომ სწორად მოწყობილ სტრუქტურას შეუძლია კომპანიის მომგებიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. მართვის პროცესში გამჭვირვალობა და ინფორმაციის ღიაობა არის კომპანიის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

2021 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში კომპანიის დასაქმებულთა რიცხვი საშუალოდ 336 ადამიანი იყო. მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით კომპანია კვლავ აგრძელებს მუშაობას დანერგილი სტანდარტით, რომლის ძირითადი პრინციპებია შეჯიბრებითობა და კონკრეტული ვაკანსიისათვის ადეკვატური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე კადრების შერჩევა. კომპანიის მიერ დასაქმებულთან შრომის ხელშეკრულების დადება ხდება ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, რაც შესაბამისობაშია შრომის მოქმედ კანონმდებლობასთან.

2021 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში კომპანიაში მოქმედი ტრენინგ-ცენტრის მეშვეობით გადამზადდა 31 ახალი თანამშრომელი სატელეფონო ცენტრის, ოქროს ლომბარდის, ბიზნეს დაკრედიტებისა და ავტო სესხების მიმართულებით, ასევე 145-მდე არსებული თანამშრომელი, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგები პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების ამაღლებისა და სპეციფიკური საკითხების ცოდნის გაღრმავების მიზნით.

2021 წლის გეგმის თანახმად მომდევნო 6 თვეში ტრენინგ ცენტრის მეშვეობით/ორგანიზებით ჩატარდება სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები, როგორც წინა ხაზის თანამშრომლებისთვის, ასევე მმართველი გუნდისა და ბექ-ოფისის დასაქმებულთათვის. ზემოთ აღნიშნული სწავლების გეგმა ითვალისწინებს პროგრამას, რომელიც დაეხმარება თანამშრომლებს სწრაფად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობის შედეგი და ხარისხი, აიმაღლონ კვალიფიკაცია.

კომპანიაში არსებულ თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების ტენდენციის შესაბამისად, 2021 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში კომპანიამ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენა საგანმანათლებლო მეთოდოლოგია, ონლაინ ტრენინგების, ტესტირებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის სამართლიანი პირობების არსებობას, რაც გულისხმობს ორივე სქესის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი თავის წარმოჩინების თანაბარი შესაძლებლობა, თანაბარ ანაზღაურებასთან ერთად.

## კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

2021 წელს კომპანიის მთავარ გამოწვევას კვლავ წარმოადგენს ვირუსის - კოვიდ-19-ის გავრცელებით შექმნილი საგანგებო მდგომარეობა.

ახალი რეალობის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების მიუხედავად, 2021 წლის პირველ კვარტალში კომპანიამ განახორციელა მსხვილი გარიგება ოქროს სალომბარდე პორთფელის შესყიდვის მიმართულებით და კიდევ უფრო მეტად გაიმყარა პოზიციები ბაზარზე. ამჟამად გლდანის რაიონში სვის კაპიტალი წარმოდგენილია სამი ფილიალით. ამასთან, ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხის პროდუქტების შეთავაზება შესაძლებელი გახდა დამატებით დიღმის მასივის, დიდუბის, დადიანის და ფონიჭალის სერვის ცენტრებში.

ფილიალების ჭრილში საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების მომსახურების შეთავაზება შემდეგნაირია:

| | უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | ავტომობილით უზრუნველყოფილი | ბიზნეს სესხი | ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი | სავალუტო ოპერაციები |
|---|---|---|---|---|---|
| ჰეკინი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| გლდანი | ✓ | ✓ | | | |
| ვარკეთილი | ✓ | ✓ | | | |
| დიდუბე | ✓ | ✓ | ✓ | | |
| დიღომი | | ✓ | | | |
| გორი | | ✓ | ✓ | | |
| ქუთაისი | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ზუგდიდი | | ✓ | ✓ | | |
| ბათუმი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| რუსთავი | | ✓ | | | |
| თელავი | | ✓ | ✓ | | |
| გლდანი ს/ც | | | ✓ | ✓ | ✓ |
| დადიანი ს/ც | | ✓ | | ✓ | ✓ |
| დიდუბე ს/ც | | ✓ | | ✓ | ✓ |
| ისანი ს/ც | | | | ✓ | ✓ |
| ვარკეთილი ს/ც | | | ✓ | ✓ | ✓ |
| ყაზბეგი ს/ც | | | | ✓ | ✓ |
| ფონიჭალა ს/ც | | ✓ | | ✓ | ✓ |
| დიღმის მასივი ს/ც | | ✓ | | ✓ | ✓ |
| გლდანი ს/ც 2 | | | | ✓ | ✓ |

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არასაკრედიტო პროდუქტების მიმართულებით. კერძოდ, სავალუტო ოპერაციების მომსახურების მიღება შესაძლებელი გახდა იურიდიული პირებისთვის.

2021 წელს პირველ ნახევარში კომპანიამ შეიცვალა სათავო ოფისი. ახალი ოფისი მდებარეობს დიდუბეში, ექსპო ჯორჯიას შენობაში.

2021 წლის ივნისის თვეში Scope Ratings-მა კომპანიის საკრედიტო რეიტინგი უცვლელად - „B” დონეზე დატოვა.

## რეგულაციები

2021 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების მიმართულებით:

- 2021 წლის 1-ლი აპრილიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელმაც სრულად ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი ნორმატიული აქტი. ახალმა ბრძანებამ უფრო მკაფიოდ და დეტალურად დაარეგულირა საფინანსო პროდუქტების შეთავაზებისა და მიწოდების, ასევე, საფინანსო მომსახურების გაწევისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესები და პრინციპები, რაც მოიცავს ასევე, სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს მომხმარებლისთვის. ახალი რედაქციით ამოქმედებულმა ბრძანებამ დღის წესრგიში დააყენა მოქმედ ხელშეკრულებებში გარკვეული ცვლილებების შეტანა და მათი მორგება მოთხოვნილ რეგულაციებთან;
- დამტკიცდა და 2021 წლის 1-ლი აპრილიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომლის თანახმად დადგენილი და განსაზღვრული იქნა წესები ანგარიშვალდებული პირების მიერ კლიენტების ელექტრონული იდენტიფიკაციისათვის/ვერიფიკაციისათვის; ბრძანების მიზანია ხელი შეუწყოს ანგარიშვალდებულ პირს საჭირო პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაში და დაადგინოს ელექტრონულად განხორციელებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის დროს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით გასატარებელი მინიმალური ღონისძიებები.

ზემოთ აღნიშნულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებთან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სვის კაპიტალმა უზრუნველყო, როგორც ახალი პოლიტიკა/პროცედურების შემუშავება, ისე არსებული პროცედურების დახვეწა, საოპერაციო პროგრამის განახლება.

## პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები

სს ,,მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი” 2021 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით წარმოადგენს მიკროსაფინანსო სექტორის 8.4%-იანი[1] წილის მფლობელ ორგანიზაციას ჯამური აქტივებით, რომლის ძირითად ნაწილს (86%) სასესხო პორტფელი შეადგენს.

მიუხედავად არსებული რისკებისა და გამოწვევებისა, კომპანიამ 2021 წლის პირველი ნახევრის განმავლობაშიც განაგრძო ზრდა, რაც გროს სასესხო პორტფელის 14%-იან მატებაში გამოიხატა. საერთო ჯამში, 2021 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში დაფიქსირდა კომპანიის ჯამური აქტივების 13%-იანი მატება.

2021 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში კომპანია გეგმავს სასესხო პორტფელის 13%-იან ზრდას. ზრდაში გათვალისწინებულია, რომ ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები დარჩება კომპანიის სტრატეგიულ და ძირითად პროდუქტად. ასევე, იგეგმება მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების მიმართულებით მნიშვნელოვანი გააქტიურება.

2021 წლის განმავლობაში კომპანია საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი საკრედიტო პროდუქტებით:

[1] წილის დათვლის მიზნებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები 2021 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით. https://old.nbg.gov.ge/index.php?m=743

ა. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი;

ბ. ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხი;

გ. ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხი;

დ. ბიზნეს სესხი.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის უზრუნველყოფას შეიძლება წარმოადგენდეს როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება. გარდა ამისა, კომპანია გასცემს ბიზნეს სესხებს უზრუნველყოფის გარეშეც. ბიზნეს სესხები გაიცემა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე.




უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით კომპანიის სასესხო პორტფელის სტრუქტურა შემდეგნაირია:



სვის კაპიტალის სტრატეგიული მიზანია პორტფელის აქტიურ ზრდასთან ერთად ვადაგადაცილების შედარებით მუდმივი მაჩვენებლების შენარჩუნება. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხები შეადგენს მთლიანი პორტფელის 13%-ს. 2020 წლის ბოლოსთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

## სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2021 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა/გასხვისება არ განხორციელებულა.

## ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის აქტივების ზრდის დაფინანსების წყაროებია კაპიტალი, ადგილობრივი საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები, ობლიგაციები, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები და თამასუქები. 2021 წლის ივნისის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს მისი აქტივების 43%-ს. კაპიტალის ადეკვატური მოცულობით შენარჩუნების მიზნით კომპანიაში მოქმედებს შემდეგი ორი ძირითადი წესი:

- კომპანიის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მისი აქტივების არანაკლებ 30%-ს. აღნიშნულ ზღვართან მიახლოვების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია მისი აქტივების ზრდა დააფინანსოს მხოლოდ ახალი აქციების ემისიის, აქციონერებისგან სუბორდინირებული სესხების ან სხვა დაფინანსების მიღების ხარჯზე;
- კომპანიის დივიდენდის განაწილების პოლიტიკის შესაბამისად, კომპანიას შეუძლია დივიდენდის სახით გაანაწილოს მოგების არაუმეტეს 40%-ისა.

სასესხო დაფინანსების ნაწილში კომპანიის მიზანს წარმოადგენს ახალი სესხების საბანკო დაწესებულებებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუციებიდან მოზიდვა, დამატებით ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გამოშვება და ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების გეგმაზომიერი შემცირება. 2021 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, კომპანიის დაფინანსების (გარდა კაპიტალისა) სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები[2]

| | 2018 | 2019 | 2020 | 2021 6 თვე |
|---|---|---|---|---|
| საერთო საპროცენტო შემოსავალი | 34,519 | 28,199 | 30,516 | 16,611 |
| წმინდა ფინანსური შემოსავალი | 30,384 | 23,097 | 22,943 | 12,327 |
| ადმინისტრაციული დანახარჯები საერთო შემოსავლებთან % | 20.1% | 22.3% | 18.1% | 19.2% |
| პერსონალის ხარჯები საერთო შემოსავლებთან % | 17.8% | 21.9% | 22.2% | 20.4% |
| წმინდა მოგების % (წმინდა მოგება/ საერთო შემოსავლებთან) | 28.1% | 21.1% | 25.4% | 28.1% |
| უკუგება საშუალო აქტივებზე %[3] | 13.8% | 7.1% | 7.5% | 8.1% |
| უკუგება საშუალო კაპიტალზე %[4] | 24.7% | 14.2% | 16.5% | 18.3% |

2021 წლის პირველი 6 თვის საერთო საპროცენტო შემოსავალი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8.2%-ით გაიზარდა და 16.6 მილიონი ლარი შეადგინა. 2021 წლის პირველი ნახევრის წმინდა ფინანსური შემოსავლის (საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები) მაჩვენებელი 12.3 მილიონი ლარია და 0.8 მილიონი ლარით მეტია წინა წლის იგივე მონაცემზე. ადმინისტრაციული და პერსონალზე გაწეული ხარჯები საერთო შემოსავლების 19.2% და 20.4%-ს შეადგენს, შესაბამისად. წმინდა მოგებამ კომპანიის შემოსავლების 28.1% შეადგინა, მაშინ როდესაც 2020 წლის პირველ ნახევარში იგივე მაჩვენებელი 19.8% იყო.

2021 წლის პირველი ნახევრისთვის აქტივებსა და კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი შეადგენს 4.1% და 9.2%-ს.

| 2021 6 თვე | სვის კაპიტალი | მიკროსაფინანსო სექტორი[5] |
|---|---|---|
| უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 4.1% | 3.8% |
| უკუგება საშუალო კაპიტალზე(ROE) | 9.2% | 11.2% |

## ძირითადი რისკები და მართვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების იმ ძირითადი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მართვას, რომელთა მიმართაც კომპანიის ოპერაციები სენსიტიურია და რომელმაც შესაძლოა, მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას. რისკების ამ

[2] კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის საერთო შემოსავალი დაანგარიშებულია შემდეგნაირად - საერთო საპროცენტო შემოსავალს პლუს შემოსავლები საკომისიოებიდან და პირგასამტეხლოებიდან.
[3] უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) - წლიური წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან. 2021 წლის პირველი 6 თვის მონაცემები არის ანუალიზებული.
[4] უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) - წლიური წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ მფლობელთა კაპიტალთან. 2021 წლის პირველი 6 თვის მონაცემები არის ანუალიზებული.
[5] წილის დათვლის მიზნებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები 2021 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით.
https://old.nbg.gov.ge/index.php?m=743

ჯგუფების მართვისა და მიტიგაციის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და პროცედურები, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კომპანიის კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები.

| რისკის ტიპი | პასუხისმგებელი ერთეული | მართვის მექანიზმი |
|---|---|---|
| საოპერაციო და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო /რეგულაციების რისკები | საოპერაციო და რისკების დეპარტამენტები | საკანონმდებლო სიახლეების მუდმივი მონიტორინგი;<br>ახალი და არსებული პროდუქტების შესაბამისობა საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნებთან;<br>კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი შიდა ნორმატიული აქტების, პროცედურებისა და წესების შემუშავება და მუდმივი განახლება;<br>ოპერაციების, ტრანზაქციებისა და დოკუმენტაციის რეგულარული ანალიზი და აუდიტი;<br>ავტორიზაციის დონეები, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. |
| სავალუტო | ფინანსური დეპარტამენტი | უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების პერიოდული შეფასება და ღია სავალუტო პოზიციების დადგენა;<br>ღია სავალუტო პოზიციების ჰეჯირება სხვადახვა ფინანსური ინსტუმენტებით: დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები, სავალუტო სვოპები და ფორვარდები;<br>ლარში ნომინირებული დაფინანსების წილის ზრდა სასესხო ვალდებულებებში და დოლარული ვალდებულებების მინიმიზაცია. |
| ლიკვიდურობა | ფინანსური დეპარტამენტი | ფულადი ნაკადების (შემოსავლებისა და გასავლების) შეფასება როგორც საოპერაციო, ასევე გრძელვადიან ჰორიზონტებზე;<br>ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის იმგვარი მართვა და სტრუქტურირება, რომ ფულადი გასავლების გათვალისწინებით დაცული იყოს ფულის თავისუფალი ნაშთის დადგენილი რეზერვები;<br>მსხვილი ფულადი გასავლებისთვის ფულადი სახსრების დადგნილი წესით წინასწარი მობილიზების უზრუნველყოფა;<br>სუბორდინირებული სესხებისა და სხვაგვარად მოქნილი ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით თანხების მოზიდვა დამფუძნებლებისა და დაკავშირებული მხარეებისგან. |
| საპროცენტო | საოპერაციო და ფინანსური დეპარტამენტები | ბაზრისთვის ხარისხიანი ფინანსური პროდუქტების შეთავაზება კანონმდებლობით ნებადართულ კონკურენტულ საბაზრო ფასად;<br>დემპინგური და რისკებთან შეუსაბამო ფასებისა და ფასდათმობებისთვის თავის არიდება;<br>ფინანსირების განაკვეთის შემცირებაზე მუდმივი მუშაობა, კრედიტორებისა და მოზიდული სახსრების ტიპების დივერსიფიკაცია;<br>დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ალტერნატივების შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის ფლობა. |

## 2021 წლის მეორე ნახევრის გეგმების შეჯამება

2021 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება. იგეგმება საფილიალო ქსელის გაფართოება ქალაქებში, სადაც უკვე წლების განმავლობაში ოპერირებს სვის კაპიტალი და ასევე იმ რეგიონებში, სადაც ამჟამად კომპანია არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, კომპანიის პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით იგეგმება დისტანციური მომსახურების არხის დამატება, რაც საშუალებას მისცემს კლიენტს ისარგებლოს კომპანიის პროდუქტებით ფილიალში ვიზიტის გარეშე.

კომპანიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არსებული პროდუქტების ჭრილში მომსახურების ხარისხის ზრდა და მომსახურების დროის შემცირება.

კომპანია გეგმავს ახალი არასაკრედიტო პროდუქტის - სწრაფი ფულადი გზავნილების სერვისის დამატებას საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის არსებული და ახალი პროდუქტების ფართო სპექტრი, მომსახურების სისწრაფე, ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიები ხაზს გაუსვამს კომპანიის მიზანს იყოს ორიენტირებული თანამედროვე მომხმარებლის ინტერესებზე, სტაბილურ ზრდასა და განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცშესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთის მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამძაფრებული კონკურენციის პირობებში.

შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტისა და კონსოლიდაციის შემთხვევაში, ყველა შესაბამისი სუბიექტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს;

აღმასრულებელი დირექტორი _____ გივი კერესელიძე

თარიღი _____

## 2021 წლის მეორე ნახევრის გეგმების შეჯამება

2021 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება. იგეგმება საფილიალო ქსელის გაფართოება ქალაქებში, სადაც უკვე წლების განმავლობაში ოპერირებს სვის კაპიტალი და ასევე იმ რეგიონებში, სადაც ამჟამად კომპანია არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, კომპანიის პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით იგეგმება დისტანციური მომსახურების არხის დამატება, რაც საშუალებას მისცემს კლიენტს ისარგებლოს კომპანიის პროდუქტებით ფილიალში ვიზიტის გარეშე.

კომპანიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არსებული პროდუქტების ჭრილში მომსახურების ხარისხის ზრდა და მომსახურების დროის შემცირება.

კომპანია გეგმავს ახალი არასაკრედიტო პროდუქტის - სწრაფი ფულადი გზავნილების სერვისის დამატებას საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის არსებული და ახალი პროდუქტების ფართო სპექტრი, მომსახურების სისწრაფე, ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიები ხაზს გაუსვამს კომპანიის მიზანს იყოს ორიენტირებული თანამედროვე მომხმარებლის ინტერესებზე, სტაბილურ ზრდასა და განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცშესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთის მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამძაფრებული კონკურენციის პირობებში.

შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტისა და კონსოლიდაციის შემთხვევაში, ყველა შესაბამისი სუბიექტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს;

აღმასრულებელი დირექტორი _____ გივი კერესელიძე

თარიღი 13-08-2021